

**გადახდისუუნარობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების
დამაბრკოლებელი საკანონმდებლო მექანიზმები**

ნანა ამისულაშვილი*

1. შესავალი

გადახდისუუნარობის სისტემა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის განვითარებასთან. გადახდისუუნარობის იდეა ასოცირდება მარცხთან და სიღარიბესთან, რაც ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობის ინდიკატორია. გადახდისუუნარობის როლი უფრო ფართოა და რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ატარებს ეკონომიკისთვის. ის სასარგებლო ინსტრუმენტია აქტივების ჩანაცვლებისა და უფრო პროდუქტიული გამოყენებისთვის. იგი ხელს უწყობს ბიზნესის რეორგანიზაციას და ვალების რესტრუქტურირაციას. თუმცა ტრადიციული გადახდისუუნარობის რეჟიმები, როგორც წესი, განიცდიან ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულაციების ნაკლებობას. ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის ეფექტიანი რეჟიმი იძლევა გამოსავალს გადახდიუუნარო პირებისთვის და ამასთანავე ემსახურება ეკონომიკურ განვითარებას.¹

რამდენიმე მაგალითი თვალსაჩინოს გახდის კავშირს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობასა და ეკონომიკას შორის. ინდოეთში ფერმერთა გადახდისუუნარო მდგომარეობამ მძიმე სოციალური პრობლემები გამოიწვია ფერმერთა თვითმკვლელობის სახით. ხოლო უნგრეთში უხცოურ ვალუტაში იპოთეკური სესხების ზრდით გამოწვეულ კრიზისს მოჰყვა სესხების ერთი მეოთხედის დეფოლტი, თავის მხრივ უამრავი სოციალური პრობლემით. ორივე მაგალითი აჩვენებს ფინანსურ სტაბილურობასა და ფიზიკური პირების გადახდისუუნარობას შორის კავშირის გაძლიერებას და ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხის წამოწევას

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹ The Role of Personal Insolvency Law in Economic Development, An Introduction to the World Bank Report on the Treatment of the Insolvency of Natural Persons, 111 (*Jose M. Garrido et al. eds.*, 2014. The World Bank Legal Review, Volume 5, Fostering Development through Opportunity, Inclusion, and Equity, DOI: 10.1596/978-1-4648-0037-5).

ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის განაწილებისთვის როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ერებისთვის.²

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა განსხვავებული სურათი: ბევრ ქვეყანაში, სადაც კრიზისის შედეგი უფრო თვალსაჩინო იყო, ეს კრიზისი წარმოიშვა ფინანსურ სექტორში და გავლენა იქონია ბიზნესზეც და ფიზიკურ პირებზეც. კრიზისმა ასევე აჩვენა პირველად ისტორიაში ბმა ფიზიკური პირების დავალიანებებსა და სისტემურ კრიზისს შორის: აშკარა გახდა კავშირი ბიზნესსა და ფიზიკურ პირებზე ულიმიტოდ სესხის გაცემასა და მაკროეკონომიკურ ფინანსურ სტაბილურობას შორის. გლობალური ფინანსური კრიზისის ანალიზმა დაადასტურა, რომ ფიზიკური პირების დაგროვილი დავალიანებების მოსაგვარებლად საჭირო მქანიზმების ნაკლებობას შეიძლება სერიოზული სოციალური და ეკონომიკური გამოძახილი მოჰყვეს.³

ფიზიკური პირის ვალებისგან განტვირთვა არის გადახდისუნარობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი კრედიტორთა მოთხოვნების სამართლიანად თანაბარზომიერ დაკმაყოფილებასთან ერთად.

მთავარი უპირატესობა, რასაც გადახდისუნარობა სთავაზობს ფიზიკურ პირს, მდგომარეობს ვალებისგან განტვირთვის სარგებელში. ფიზიკურ პირს, რომელიც მიმართავს გაკოტრებას, შეუძლია მიაღწიოს მისი უმეტესი ვალდებულებებისგან განტვირთვას აღსრულებამიქცევადი ქონების ან სამომავლო შემოსავლების ნაწილის დათმობის გზით, თუ მას არ დაურღვევია გადახდისუნარობის კანონმდებლობით დადგენილი ქცევის წესები. ვალებისგან განტვირთვა არა მარტო ათავისუფლებს მოვალეს წარსული ფინანსური ვალდებულებებისგან, არამედ ასევე იცავს მას ზოგიერთი არახელსაყრელი შედეგისგან, რაც დადგებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში. ამ მიზეზების გამო ვალებისგან განტვირთვა მიიჩნევა მოვალისთვის ახალი ფინანსური საწყისისთვის შანსის მიცემად.⁴

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? – კანონმდებლობა არ იცნობს ფიზიკური პირების

² იქვე.

³ იქვე.

⁴ Jackson, Thomas H., *The logic and Limits of Bankruptcy Law*, BeardBooks, Washington D.C. 2001, 225.

გადახდისუუნარობას. მართალია, კანონი ცნობს ინდივიდუალურ მეწარმეს მოვალე სუბიექტად,⁵ თუმცა პროცედურები მთლიანად მორგებულია იურიდიული პირების თავისებურებებზე და წარმოდგენელია მათი გამოყენება ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში.

დღეს საქართველოში სახეზეა იპოთეკური სესხების კრიზისი – ფიზიკური პირები სხვადასხვა საჭირებოსთვის იღებენ სესხს ბანკიდან ან ფიზიკური პირი გამსესხებლებიდან. შემდეგ ვადამოსული სესხის დასაფარად იღებენ სხვა სესხს გაუარესებული პირობებით. საბოლოოდ, მოვალეთა რეესტრში აღმოჩენის შემდეგ, მათი შემოსავალი რჩება მუდმივად ჩრდილში, რითაც ზიანი ადგება სახელმწიფო ბიუჯეტს. ხელი ეშლება მეწარმეობას, რადგან მეწარმე ახალ ბიზნესს ვეღარ იწყებს არსებული ვალების გამო.

თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილების და სტანდარტის გათვალისწინებით აუცილებელია გადახდისუუნარობის სისტემაში არსებობდეს ადგილი ფიზიკური პირებისთვის. თუმცა ამ თემაზე პროფესიულ წრეებში კამათისას ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მოწინააღმდეგეები ყველაზე ხშირად იშველიებენ არგუმენტს – თუ ფიზიკურ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა, გათავისუფლდნენ ვალებისგან, ეს გამოიწვევს მათ მიერ უპასუხისმგებლო სესხების აღებას. ამას შეიძლება ოპორტუნისტული დამოკიდებულებაც ეწოდოს. სკეპტიკოსთა აზრით, ახალი რეგულაციები გამოიწვევს მასობრივ გადახდისუუნარობას და საბანკო-საფინანსო სექტორის კრიზისს.

რა შეიძლება კანონმა დაუპირისპიროს ამ არგუმენტს?

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ის საკანონმდებლო მექანიზმები იქნება განხილული, რომელიც ადგენს თამაშის წესებს ფიზიკური პირებისთვის და აღკვეთს მათ მიერ კანონის არაკეთილსინდისიერად, ბოროტად გამოყენებას.

ნაშრომში განხილული იქნება დამცავი საკანონმდებლო მექანიზმების რამდენიმე კატეგორია სხვა სამართლებრივი სისტემების მაგალითზე. სხვადასხვა რეგულაციები გაერთიანდება ერთიანი ამოცანის ქვეშ. შესაძლებელია, ყველა მათგანი სტრუქტურულად იდენტური არ იყოს. შესაძლებელია მათ პირველადი ან დამატებითი ფუნქციაც განსხვავებული ჰქონდეთ.

⁵ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 2(2), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572>.

თუმცა თითოეული ასევე წარმოადგენს მოვალის შემაკავებელ მექანიზმს კანონის არაკეთილსინდისიერად გამოყენების აღსაკვეთად და სწორედ ამიტომ არის საინტერესო. ასეთ მიზნებს ემსახურება და წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნება: ა) ვალდებულებები, რომელთაგან გათავისუფლება არ/ან ხდება გამონაკლის შემთხვევებში; ბ) სიღარიბის ტესტი და საგამონაკლისო ქონების მკაცრი რეგულაციები, ეს ორივე ადგენს ფარგლებს მოვალის შემოსავლისა და ქონების რა ნაწილი შეიძლება განაწილდეს კრედიტორებზე; გ) საქმის წამოწყების გართულებული პროცედურები, რომელიც თავისებურ ბარიერს უქმნის მოვალეს; დ) მოვალის არაკეთილსინდისიერი ქცევის საპასუხო სასჯელები; ე) დაბოლოს, სავალდებულო არაფორმალური რესტრუქტურზაცია, რომელიც უნდა გაიაროს მოვალემ სასამართლოსთვის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით მიმართვამდე.

სხვადასხვა ქვეყნის მიდგომისა და გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მოხდება მათი ვირტუალური ინტეგრირება საქართველოს კანონმდებლობაში და ქართული რეალობისადმი თავსებადობის შეფასება.

2. ვალდებულებები, რომელთაგანაც გათავისუფლება არ ხდება

გადახდისუუნარობის პროცესის საბოლოო ეტაპზე ორი სახის შედეგი შეიძლება ვიხილოთ. იურიდიული პირებისთვის ეს მოსალოდენელი შედეგებია – გაკოტრება, რომლის დასასრული არის ამ პირის არსებობის შეწყვეტა, ან რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ვალდებულებებისგან გათავისუფლებას და კრედიტორთათვის მისაღები გეგმით მათი მოთხოვნების ნაწილის დაკმაყოფილებას. ფიზიკური პირებისთვის საბოლოო შედეგი არის დარჩენილი ვალდებულებებისგან გათავისუფლება. „ვალდებულებებისგან გათავისუფლება არის კანონის ძალით მოვალისთვის იმ ვალდებულებების პატიება, რომლის გადახდაც ვერ მოხერხდა გაკოტრების⁶ პროცესში.

⁶ ტერმინები „გადახდისუუნარობა“ (ინგ. *Insolvency*) და „გაკოტრება“ (ინგ. *Bankruptcy*) სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად გამოიყენება, მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით გადახდისუუნარობა მოიცავს გაკოტრებასა და რეაბილიტაციას, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ კანონს გაკოტრების კოდექსი ჰქვია და მასში შედის რესტრუქტურზაციის პროცედურებიც. წინამდებარე ნაშრომში

ვალებისგან გათავისუფლება გაკოტრების სამართლის ახალი საწყისის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა“.⁷

თუმცა კანონით შიძლება დადგენილი იყოს ვალდებულებები, რომელთაგან გათავისუფლება არ მოხდება არცერთ შემთხვევაში. ასეთი ჩანაწერის არსებობა კანონში ერთი მხრივ წამოადგენს მოვალის შემაკავებელ საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, იცავს კრედიტორების ინტერესებს. „ახალი საწყისის პოლიტიკა დაბალანსებული უნდა იყოს სხვა საჯარო პოლიტიკათა მიმართებაში. იმისათვის, რომ ამ მიდგომებს სათანადო განსხვავება მიენიჭოს, მოვალის ვალებისგან გათავისუფლების უფლებაზე წესდება გარკვეული შეზღუდვები და დათქმები“.⁸ ამ მოვლენას იცნობს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემები.

2.1 აშშ

აშშ-ის გაკოტრების კოდექსი ითვალისწინებს ვალდებულებების რამდენიმე ტიპს, რომლისგანაც არ ხდება მოვალის გათავისუფლება:

– უპირატესი საგადახადო ვალდებულებები – მაგალითად, საგადასახადო დაბრუნებები, რომლებიც მიღებულია დეკლარაციის წარუდგენლობის, გვიან დეკლარირების ან თაღლითური ქმედების საფუძველზე;⁹

– ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა თაღლითური ქმედებების შედეგად – ასეთი შეიძლება იყოს:

გადახდისუუნარობა და გაკოტრება გამოყენებული იქნება ამ სისტემის საკანონმდებლო ნორმათა ერთობლიობის აღსანიშნავად და მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე მსჯელობისას დაზუსტდება ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტერმინით.

⁷ *Blum, Brian A.*, Bankruptcy and Debtor/Creditor, 4th edition, Aspen Publisher 2006, 519.

⁸ იქვე.

⁹ *Wedoff, Eugene R.*, Major Consumer Bankruptcy Effects of BAPCPA, University of Illinois Law Review 31, 2007, 62.

ა) ფულის, ქონების, სერვისის, სესხის მოპოვება ან სესხის განახლება არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან თაღლითურად;¹⁰

ბ) მოვალის მიერ გაკოტრების დაწყებაზე განაცხადის შეტანამდე ან შეტანიდან მალევე მოვალის მიერ დამატებითი ვალდებულებების აღება, რაც შეიძლება ჩაითვალოს ასევე თაღლითურ ქმედებად;¹¹

გ) ფულის, ქონების, სერვისის, სესხის წერილობითი არასწორი ინფორმაციის მიწოდების გზით;¹²

– ვალდებულებები, რომელთა შესახებაც მოვალემ არ წარმოადგინა გაკოტრების პროცესში ინფორმაცია და არ გაითვალისწინა გადასახდელ ვალდებულებათა ცხრილში¹³ – ეს ნორმა იცავს კრედიტორს, რომელმაც არ მიიღო შეტყობინება მოვალის გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ და შედეგად არ მიეცა საშუალება წარედგინა მოთხოვნასთან დაკავშირებული პრეტენზია.¹⁴ თავის მხრივ, ნორმა არის მოტივაცია მოვალისთვის, რათა იგი გულისხმიერებით მოეკიდოს ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენას და უზრუნველყოს ყველა კრედიტორის აღრიცხვა;

– ფიდუციური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედებისას თაღლითური ან არაკეთილსინდისიერი ქმედება, ან ზოგადი პასუხისმგებლობის ფარგლებში მითვისების ან ქურდობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები;¹⁵

– საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები, როგორცაა ალიმენტი, დახმარება, განქორწინებიდან გამომდინარე ვალდებულებები;¹⁶

– სხვისი ქონებისთვის განზრახ ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულება;¹⁷

¹⁰ *Blum, Brian A.*, *Bankruptcy and Debtor/Creditor*, 4th edition, Aspen Publisher 2006, 528.

¹¹ იქვე, 529.

¹² იქვე, 530.

¹³ 11 U.S.C. § 523 (a) (3), <http://uscode.house.gov/download/download.shtml>.

¹⁴ *Blum, Brian A.*, *Bankruptcy and Debtor/Creditor*, 4th edition, Aspen Publisher 2006, 531.

¹⁵ იქვე, 532.

¹⁶ იქვე, 533.

¹⁷ იქვე.

– სახელმწიფოს მხრიდან დაკისრებული ჯარიმები – ამ კატეგორიაში ხვდება ჯარიმები საგადასახადო ვალდებულებებზე;¹⁸

– საგანმანათლებლო სესხები და სხვა სარგებელი;¹⁹

– ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვიდან წარმოშობილი ვალდებულებები;²⁰

– ვალდებულებები, რომელთაგან გათავისუფლება არ მოხდა წინამორბედი გაკოტრების პროცესში.²¹

გარდა ამისა, აშშ-ის გაკოტრების კოდექსით, თუ მოვალე იღებს სესხს, რათა დაფაროს ვალები, რომელთაგან განთავისუფლება არ ხდება, მაშინ სასესხო ურთიერთობისგან წარმოშობილი ვალიც იმავე კატეგორიაში კვალიფიცირდება.²²

საინტერესოა ასევე აშშ-ის გაკოტრების კოდექსის მიდგომა კრედიტორთა ქცევასთან დაკავშირებით – იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი იშუამდგომლებს მოვალისთვის ვალისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის მოთხოვნით²³ და სასამართლო აღმოაჩენს, რომ შუამდგომლობას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, კრედიტორს ეკისრება ჯარიმა შუამდგომლობის საფუძველზე განხორციელებულ წარმოებაში სასამართლო ხარჯისა და მოვალის ადვოკატის მომსახურების საფასურის ანაზღაურების სახით.²⁴ ეს რეგულაცია აიძულებს კრედიტორს, გამოიჩინოს სიფრთხილე შუამდგომლობების დაყენებისას.

2.2 გერმანია

გერმანიის გადახდისუნარიობის კოდექსი ითვალისწინებს მოვალისთვის დარჩენილი ვალდებულებებისგან

¹⁸ Blum, Brian A., *Bankruptcy and Debtor/Creditor*, 4th edition, Aspen Publisher 2006, 534.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, 535.

²¹ იქვე.

²² იქვე, 527.

²³ იგულისხმება ვალდებულება, რომლისგან გათავისუფლება არ ხდება და ამასთან დაკავშირებული შუამდგომლობა.

²⁴ Blum, Brian A., *Bankruptcy and Debtor/Creditor*, 4th edition, Aspen Publisher 2006, 531

გათავისუფლებაზე უარის თქმას შემდეგ ვალდებულებებთან დაკავშირებით:

– სისხლის სამართლის დანაშაულის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები;

– გადახდისუნარობის მოთხოვნამდე სამი წლის განმავლობაში ეკონომიკურ მდგომარეობაზე განზრახ ან გაუფრთხილებლად არასწორი ან არასრული ინფორმაციის გაცემის საფუძველზე მიღებული სესხი, ან გრანტი/შელავათი საჯარო ფონდებიდან;

– თუ მოვალემ გადახდისუნარობის მიმართვამდე ათი წლის პერიოდში მიიღო ვალდებულებებისგან გათავისუფლება;

– მოვალის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით გადახდისუნარობის კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებისა და თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევა.²⁵

2.3 დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის 1986 წლის გადახდისუნარობის აქტი ასევე მიუთითებს ფიზიკური პირების იმ ვალდებულებებზე, რომელთაგანაც არ თავისუფლდება გადახდისუნარობის პროცესის დასრულებისას. ესენია, მაგალითად:

– ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, გამოწვეული საკანონმდებლო, სახელშეკრულებო ან სხვა ვალდებულების დარღვევიდან ან პირის დაზიანებიდან;

– საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.²⁶

ამკარაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასა და დანაშაულებრივ ქმედებებთან. გამონაკლისები არ ეხება

²⁵ German Insolvency Code, Section 290, Insolvency and Restructuring in Germany – Yearbook 2012, 116.

²⁶ Insolvency Act 1986, 281, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/contents>.

ბიზნესსაქმიანობიდან და სამომხმარებლო საჭიროებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რთული იქნება შედარებითი ანალიზის გაკეთება, რადგან კანონი გადახდისუუნარობის შესახებ დარჩენილი ვალდებულებების გათავისუფლების ფენომენს საერთოდ არ იცნობს. ერთი მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ფიზიკური პირების ამხანაგობებსაც განიხილავს მოვალე სუბიექტებად, იგი მაინც მთლიანად იურიდიულ პირებზეა მორგებული. მაგალითად, გაკოტრების დასასრულს სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.²⁷ იურიდიული პირის შემთხვევაში ეს პირი წყვეტს არსებობას, მაგრამ ინდივიდუალური მეწარმე ხომ ვერ შეწყვეტს არსებობას, ის აგრძელებს ცხოვრებას როგორც ფიზიკური პირი. რა მოსდის გაკოტრების დასრულების შემდეგ ინდივიდუალური მეწარმის დარჩენილ ვალდებულებებს? ქართულ კანონს აკლია ჩანაწერი, რომ ქონების განაწილების შემდეგ დარჩენილი გადასახდელი ვალდებულებები ქრება. ან, შესაძლებელია არსებული კანონის საფუძველზე სასამართლო პრაქტიკა განვითარდეს ისე, რომ გაკოტრების დამთავრების შემდეგ თავისთავად გაუქმებულად ჩაითვალოს ყველა დარჩენილი ვალდებულება, რადგან მათ ძალაში დატოვებაზეც არ არის მინიშნება კანონში. ასეთ შემთხვევაში უფრო ცუდი შედეგი დადგება – გამონაკლისი ვალდებულებების შესახებ რეგულაციის არარსებობის გამო ყველა ტიპის ვალდებულება ერთიანად გაქრება. ამიტომ აუცილებელია კანონში არსებობდეს იმ ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელთაგან არ გათავისუფლდება მოვალე.

ამ ტიპის სისტემის ანალოგი არის სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებების თავში: „მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით

²⁷ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 42(3).

სხვა რამ არ არის დადგენილი“.²⁸ აქ სწორედ შეინიშნება ჩანასახი მოვალის დარჩენილი ვალდებულებისგან განთავისუფლებისა, თუმცა მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ინსტიტუტზეა მორგებული. ²⁹ არადა, საჭიროა გადახდისუუნარობის სამართალში პოლიტიკურ და კონცეპტუალურ დონეზე მოწესრიგდეს კრედიტორ-დებიტორის ურთიერთობა, რაც შემდგომ ჰარმონიზებული უნდა იყოს მთლიან კანონმდებლობაში.

პოლიტიკისა და ერთიანი კონცეფციის პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში სხვა საკითხებთან მიმართებაშიც წარმოიქმნება. მაგალითისთვის აშშ-ის გაკოტრების კოდექსს აქვს გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ახალი საწყისის პოლიტიკა და მასთან შესაბამისობაში შემუშავებული კრედიტორის დაცვის მექანიზმები. ზემოთ აღინიშნა, რომ მოვალე არ გათავისფულდება ვალდებულებებისგან, რომელთა შესახებაც მან არ წარმოადგინა გაკოტრების პროცესში ინფორმაცია და არ გაითვალისწინა გადასახდელ ვალდებულებათა ცხრილში. საწინააღმდეგო სურათი გვაქვს ქართულ გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში. გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის 16 (1) მუხლით მოვალის მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს კრედიტორთა ნუსხას. კანონის 26 (2) (თ) მუხლი კი მურვეს ავალებს, დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ. კანონით არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობა ამ მუხლების დარღვევისთვის. ხოლო ყველაზე უარესი არის ის, რომ კრედიტორს ევალება, წარადგინოს მოთხოვნა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 301(1¹).

²⁹ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გადახდისუუნარობის რეჟიმში იპოთეკის საგნისგან კრედიტორების დაკმაყოფილების პირობები იცვლება. კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 41 (ბ) მუხლი ადგენს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორი დაკმაყოფილდება მხოლოდ ამ რეალიზაციით მიღებული თანხის მოცულობით, ხოლო დარჩენილი ვალი ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებში.

განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნა დაგვიანებულად ჩაითვლება და გადაინაცვლებს ბოლო რიგში (კანონის 29 (1) მუხლი). 20-დღიანი ვადის ათვლის დაწყება არ არის დაკავშირებული კრედიტორის მიერ შეტყობინების მიღების მომენტთან, რის გამოც სერიოზულად ზიანდება კრედიტორთა ინტერესები. სიტუაციის გამოსასწორებლად უპირველესად უნდა ჩამოყალიბდეს მოვალის ვალდებულებებისგან გათავისფულების პოლიტიკა, რასაც მოჰყვება იმ ვალდებულებების ჯგუფების განსაზღვრა, რომელსგანაც გათავისუფლება არ ხდება. ეს პროცესები თავისთავად დააყენებს საჭიროებას, რომ კრედიტორთა დაცვის სტანდარტი გაიზარდოს და კანონში აღარ იყოს ისეთი მუხლები, რომელიც კრედიტორის შეუტყობინებლად გააუარესებს მის უფლებას.

3. სიღარიბის ტესტი და საგამონაკლისო ქონება

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980-2005 წლებში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მიმართვიანობა ხუთჯერ გაიზარდა, წელიწადში დაახლოებით 300 000-დან 1,5 მილიონ მიმართვამდე. 2000-იანი წლების დასაწყისში გაკოტრებისადმი მიმართვიანობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე უმაღლესი კოლეჯის დამთავრების, განქორიწების ან კიბოს დიაგნოზის მაჩვენებელი. ბევრი გამოჩენილი ადამიანის მიერ მოხდა გაკოტრების წამოწყება, მათ შორის მოკრივე მაიკ ტაისონი (2003); მსახიობები: კიმ ბესინჯერი (1993), ბარტ რეინოლდსი (1995) და დები რეინოლდსი (1997); მომღერლები: ანიტა ბრიანტი (2001), მერილ ჰაგარდი (1993) და უეინ ნიუტონი (1992); ასევე ორი გუბერნატორი: ჯონ კონოლი ტეხასიდან (1986) და ჯეი ფაიფ სიმინგტონი არიზონიდან (1995).³⁰

გაკოტრების წამოწყება გამოჩენილი ადამიანების მიერ დაკავშირებულია ჩვეულებრივ ადამიანებთან იმით, რომ გამოჩენილი ადამიანები იქცევენ საზოგადოების დიდი ყურადღებას და თავისთავად აგზავნიან მესიჯს, რომ გაკოტრებულად თავის გამოცხადება სოციალურად მისაღებია და არ ატარებს რაიმე სტიგმას.³¹

³⁰ იხ. www.angelfire.com/stars4/lists/bankruptcies.html.

³¹ *White, Michelle J.*, Bankruptcy: Past Puzzles, Recent Reforms, and the Mortgage Crisis (NBER Working Paper №14549, Dec. 2008).

თუმცა, გაკოტრებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებლის სიდიდემ თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენა რეფორმის საჭიროება. 2005 წელს მიღებულ იქნა გაკოტრების ბოროტად გამოყენებისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ აქტი – *The Bankruptcy Abuse Prevention and Consumer Protection Act* (BAPCPA).³² 2005 წლის რეფორმამ ბევრი სიახლე დაწერა ფილტრების თვასალზორით და გააძლიერა კრედიტორთა ინტერესების დაცვა. აქედან ორი უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო „სიღარიბის ტესტის“ დაწერვა და საგამონაკლისო ქონების რეგულაციების დახვეწა. პირველი ეხება მოვალის შემოსავლებს, მეორე კი მის ქონებას.

3.1 სიღარიბის ტესტი

2005 წლამდე განმცხადებლებს შეეძლოთ აერჩიათ მე-7 თავით გაკოტრება, რომლის მიხედვიდაც მათ უწევდათ გადახდა მხოლოდ სამეურვეო ქონებიდან, ან მე-13 თავის³³ პროცედურები, რა დროსაც გადახდებს აწარმოებდნენ შემოსავლებიდან.³⁴ სამეურვეო ქონება თავის მხრივ შედგება ფიზიკური მთელი ქონებისგან (არასაგამონაკლისო ანუ რისი გაყიდვა ან განაწილება შეიძლება კრედიტორებზე), რაც არსებობს გაკოტრების დაწყების მომენტისთვის, გარდა საგამონაკლისო ქონებისა (რაც არ ნაწილდება კრედიტორებზე, მაგ.: საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო).³⁵ გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ იშვიათ განმცხადებლებს შეიძლება ჰქონოდათ არასაგამონაკლისო ქონება, ძირითადად ხდებოდა მე-7 თავით გაკოტრების მოთხოვნა და მოვალეს არ უწევდა არაფრის გადახდა. გარდა ამისა, 2005 წლამდე

³² *Wedoff, Eugene R.*, Major Consumer Bankruptcy Effects of BAPCPA, *University of Illinois Law Review* 31, 2007, 31.

³³ იგულისხმება აშშ-ის გაკოტრების კოდექსის მე-7 თავი (ლიკვიდაცია) და მე-13 თავი (რეგულარული შემოსავლის მქონე პირის ვალეების კორექტირება).

³⁴ *White, Michelle J.*, Bankruptcy: Past Puzzles, Recent Reforms, and the Mortgage Crisis (NBER Working Paper No. 14549, Dec. 2008).

³⁵ *Blum, Brian A.*, Bankruptcy and Debtor/Creditor, 4th edition, Aspen Publisher 2006, 281, 295.

გაკოტრების კოდექსი არ ითხოვდა მოვალისგან გაკოტრების დაწყების შემდგომი შემოსავლებიდან კრედიტორებისთვის გადახდების განხორციელებას.

რეფორმამ გააძლიერა კრედიტორის ინტერესები და ამჟამად მოვალე ვალდებულია გადაუხადოს კრედიტორებს გადახდისუუნარობის დაწყებამდე წარმოშობილი მოთხოვნებისთვის როგორც მანამდე არსებული ქონებისა და შემოსავლისგან, ისე გადახდისუუნარობის შემდეგ წარმოშობილი ქონებისა და შემოსავლებიდან.³⁶ გადახდების პერიოდი გრძელდება სამიდან ხუთ წლამდე.

ამასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა „სიღარიბის ტესტი“, რომელიც ადგენს მაღალშემოსავლიან მოვალეებს, რათა მათი სამომავლო შემოსავლის ნაწილით განხორციელდეს გადახდები.³⁷ „სიღარიბის ტესტი“ არის მექანიზმი, რომელიც ხელს უშლის მოვალეს მე-7 თავის ბოროტად გამოყენებაში.³⁸

„სიღარიბის ტესტის“ იდეა კარგად არის გადმოცემული ამერიკის გაკოტრების კოდექსის 707(b) პარაგრაფში: სასამართლოს პირველი მოსმენის შემდეგ თავისი ინიციატივით, მეურვის ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ფიზიკური პირის მიერ მე-7 თავით დაწყებული საქმე ან მოვალის თანხმობით საქმე გარდაქმნას მე-11³⁹ ან მე-13 თავის პროცედურაში თუ მიიჩნევს, რომ მე-7 თავით სარგებლობა მოვალის მხრიდან იქნება კანონის ბოროტად გამოყენება. სასამართლოს ივარაუდება რომ სახეზეა კანონის ბოროტად გამოყენება, თუ მისი თვითონ შემოსავალი აღემატება კოდექსით დადგენილ ოდენობებს (სიღარიბის ტესტი).⁴⁰ ამით

³⁶ *White, Michelle J.*, Bankruptcy: Past Puzzles, Recent Reforms, and the Mortgage Crisis (NBER Working Paper No. 14549, Dec. 2008).

³⁷ იქვე.

³⁸ *Wedoff, Eugene R.*, Major Consumer Bankruptcy Effects of BAPCPA, *University of Illinois Law Review* 31, 2007, 46.

³⁹ იგულისხმება აშშ-ის გაკოტრების კოდექსის მე-11 თავი (რეორგანიზაცია).

⁴⁰ 11 U.S.C. § 707 (b).

დგინდება საგამონაკლისო შემოსავალი (რაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულებების დასაფარად, რადგან საჭიროა მოვალის არსებობისთვის, ხოლო გამონაკლისს ზემოთ არსებული თანხა მიემართება კრედიტორების მოთხოვნათა დასაფარად. შედეგად მოვალეს აღარ შეუძლია მიმართოს მე-7 თავს, თუ მან გადალახა „სიღარიბის ტესტი“, რაც მიუთითებს, რომ მას შეუძლია თუნდაც ნაწილობრივ ვალების გადახდა.

3.2 საგამონაკლისო ქონების რეგულაციები

საგამონაკლისო ქონების ინსტიტუტი ხელმისაწვდომია მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის და მოქმედებს გაკოტრების ყველა პროცედურისთვის.⁴¹ საგამონაკლისო ქონება გულისხმობს დადგენილი ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული ქონების ხელშეუხებლობას. ამ ქონებიდან არ შეიძლება კრედიტორთა დაკმაყოფილება.

აშშ-ის გაკოტრების კოდექსით არ არის დადგენილი ერთიანი საგამონაკლისო ღირებულება, არამედ ყველა შტატს აქვს განსხვავებული ზედა ზღვარი. სწორედ ამ განსხვავებებით ხდებოდა მანიპულირება ფიზიკური პირების მიერ. შტატში, სადაც საგამონაკლისო ქონების მაღალი ზედა ზღვარია დადგენილი, მოვალე გაკოტრების დაწყებამდე ყიდდა სამეურვეო ქონების ნაწილს და თანხას ინვესტირებას უკეთებდა სწორედ საგამონაკლისო ქონებაში. ასევე, მოვალეს შეეძლო დაბალი ზედა ზღვრის არსებობის გამო იმ შტატში, სადაც ცხოვრობდა, გაეყიდა ქონება და გადმოეტანა უფრო „გულუხვ“ შტატში.⁴²

BAPCPA-ს ცვლილებების შედეგად, სასამართლოს მიერ შეიძლება შემცირდეს საგამონაკლისო ქონების – საკარმიდამოს

⁴¹ 11 U.S.C. § 522.

⁴² *Blum, Brian A.*, Bankruptcy and Debtor/Creditor, 4th edition, Aspen Publisher 2006, 298.

ღირებულება⁴³, თუ მოვალემ გადახდისუუნარობის დაწყებამდე 10 წლის პერიოდში სამეურვეო ქონების ნაწილი გადმოიტანა საგამონაკლისო ქონების შემადგენლობაში იმ მიზნით, რომ დაემალა ქონება კრედიტორებისთვის.⁴⁴

გარდა ამისა, მოვალის მიერ საკარმიდამო ქონებისთვის დამატებული ნებისმიერი ღირებულება 125.000 აშშ დოლარის ფარგლებში, მიუხედავად მოვალის განზრახვისა, ამოღებულ იქნება საგამონაკლისო ქონებიდან, თუ ღირებულების დამატება მოხდა გაკოტრების პროცედურის დაწყებამდე 1215 დღის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოხდა არსებული ქონების გადმოტანა იმ შტატში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც ფერმერის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია.⁴⁵

ცვლილებების შედეგად გამკაცრებული რეგულაციების ფარგლებში მოვალეს აღარ ეძლევა საშუალება, გადამალოს ქონება კრედიტორებისგან და ამ მიზნით გაკოტრებისადმი მიმართვაც აზრს კარგავს.

ქართული კანონმდებლობა იცნობს საგამონაკლისო ქონების ინსტიტუტს. სამეურვეო ქონებაში შედის ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისთვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება. ასეთი შეიძლება იყოს პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისთვის; მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისთვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და

⁴³ რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირებული ღირებულების ოდენობა დამატებულ იქნება სამეურვეო ქონებაში. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შემდეგ საგამონაკლისო ღირებულება დარჩება მოვალეს, ხოლო დანარჩენი თანხა წავა კრედიტორებთან.

⁴⁴ 11 U.S.C. § 522 (o).

⁴⁵ 11 U.S.C. § 522 (p).

სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისთვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა; პირებისთვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისთვის საჭირო ნივთები, სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება. თუმცა ჩამონათვალი არ მოიცავს საკარმიდამო სახლს, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

გამოდის, რომ ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა უფრო მეტად იცავს კრედიტორს, ვიდრე მოვალეს. თუმცა ასეთი მიდგომა საბოლოო ჯამში შეიძლება უფრო საზიანო იყოს სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკით, მხოლოდ 2014 წლის აგვისტოდან 2016 წლის იანვრამდე ბანკებმა იპოთეკური სესხის სახით ფიზიკურ პირებზე გასცეს 45 221 825.00 აშშ დოლარი. რაც შეეხება კერძო პირების მიერ გაცემულ სესხებს, მათი აღრიცხვა არ ხდება და შესაბამისად, სტატისტიკა მიუწვდომელია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს არა აქვს სათანადო შემოსავალი ბანკიდან შედარებით დაბალპროცენტიანი სესხის მისაღებად და იძულებულია მაღალპროცენტიანი იპოთეკური სესხით ისარგებლოს, მაშინ ცხადია, რომ კერძო გამსესხებლების მიერ გაცემული სესხების მონაცემი უფრო დიდი ციფრი იქნება. ბოლო წლებში არსებულმა იპოთეკური სესხების კრიზისმა გამოავლინა გარკვეული ცვლილების აუცილებლობა. იპოთეკური სესხების კრიზისის შედეგად უამრავი ადამიანი რჩება უსახკაროდ აღსრულების შედეგად.

საქართველოს მთავრობის მიერ იპოთეკური სესხების პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება – სავალდებულო გახდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმება სანოტარო წესით. იპოთეკის ხელშეკრულების

დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია, განუმარტოს ხელშეკრულების მხარეებს ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მოჰყვება მათ მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.⁴⁶ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არსებულ პრობლემას ვერ მოაგვარებს, რადგან მხარეებმა ისედაც იციან სამართლებრივი შედეგები. იპოთეკური სესხების კრიზისის გამოძწვევი მიზეზი ერთი მხრივ შეიძლება იყოს მოქალაქეთა ოპორტუნისტული დამოკიდებულება სესხის ტვირთის დაძლევისთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ – კერძო გამსესხებლების მიერ სესხის ხელმისაწვდომობა (არ მოითხოვება შემოსავლის დადასტურება და მხოლოდ უძრავი ქონების უზრუნველყოფით ხდება სესხის გაცემა). ამ საკითხს უკეთესად მოაგვარებდა გადახდისუუნარობის რეფორმა და ფიზიკური პირების გაკოტრების დაშვება. რეფორმით უნდა მოხდეს პირდაპირ გადახდისუუნარობის სისტემაში საგამონაკლისო ქონების ინსტიტუტის შემოღება საცხოვრებელი სახლის სახით ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ სასესხო ურთიერთობებში. ეს თავის მხრივ გაართულებს კერძო გამსესხებლებისგან სესხის აღებას, მათ მოუწევთ უფრო მაღალი სტანდარტი მიიღონ სესხის რისკების გათვალისწინებაში და ყურადღება მიაქციონ მსესხებლის შემოსავალსაც ქონებასთან ერთად. ამით თავისთავად შემცირდება სესხის ბრუნვა. თუმცა ფიზიკურ პირებს შორის სესხი ისედაც ჩრდილოვანი ხასიათისაა და ბიუჯეტისთვის ცვლილებას ეს არ გამოიწვევს. გარდა ამისა, ქვეყანაში შემცირდება საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩენილი ოჯახების რიცხვი, რაც უფრო დიდი საზოგადოებრივი ინტერესია, ვიდრე ჩრდილოვანი სასესხო ურთიერთობების შენარჩუნება. კიდევ ერთი დამატებითი სარგებელი, რაც ამ რეფორმას შეუძლია მოიტანოს, არის იპოთეკით დატვირთული საგნის მაქსიმალურ მაღალ ფასში გაყიდვა. ეს საკითხი იპოთეკური სესხების კრიზისის შემადგენელი ნაწილია. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემდეგი

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 289 (1¹), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

სქემა – კერძო გამსესხებელი გასცემს სესხს მხოლოდ უძრავი ქონების იპოთეკური უზრუნველყოფის საფუძველზე, მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევიდან მალევე გააქვს იძულებით აუქციონზე და საბაზრო ფასზე დაბალ ფასად ყიდულობს თავად. მიღებული თანხით იფარება სესხი, გამსესხებელი ნაყიდ უძრავ ქონებას ყიდის საბაზროზე გაცილებით სარფიანად, ხოლო მოვალე რჩება საცხოვრებელი სახლის გარეშე. საგამონაკლისო ქონების ზედა ზღვრის დაწესება აიძულებს გამსესხებელს, არ გასცეს ძალიან დიდი სესხი. ამ შემთხვევაში მან უნდა გაითვალისწინოს ის მინიმუმი, რაც ქონების გაყიდვიდან ეკუთვნის მოვალეს და მხოლოდ დარჩენილი თანხიდან მოხდება მისი დაკმაყოფილება, ასევე ეს იქნება გამსესხებლისთვის წამქეზებელი, რათა შეეცადოს, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდოს ქონება.

4. მიმართვის პროცედურების გართულება

BAPCPA-ს რეფორმით დაინერგა გადახდისუნარიობის საქმისწარმოების გახსნაზე მიმართვის გართულებული წესები.

4.1 მიმართვიანობის სიხშირის სტანდარტი

შემოღებულ იქნა ცხრილი იმის განსასაზღვრად, თუ პირს გაკოტრების კონკრეტული პროცედურის დასრულებიდან რამდენ ხანში შეუძლია მიმართოს გაკოტრების იმავე ან სხვა ტიპის პროცედურის წამოსაწყებად:⁴⁷

წინა საქმე	მიმდინარე საქმე:		
	თავი მე-7	თავი მე-11	თავი მე-13
თავი მე-7	8 წელი წინა საქმის წამოწყებიდან	არ არის შეზღუდვა	4 წელი წინა საქმის წამოწყებიდან (ან წინა საქმიდან,

⁴⁷ იგულისხმება აშშ-ის გაკოტრების კოდექსის მე-7 თავი (ლიკვიდაცია), მე-11 თავი (რეორგანიზაცია) და მე-13 თავი (რეგულარული შემოსავლის მქონე პირის ვალების კორექტირება).

			ვალების გათავისუფლებიდან)
თავი მე-11	8 წელი წინა საქმის წამოწყებიდან	არ არის შეზღუდვა	4 წელი წინა საქმის წამოწყებიდან (ან წინა საქმიდან, ვალების გათავისუფლებიდან)
თავი მე-13	6 წელი წინა საქმის წამოწყებიდან	არ არის შეზღუდვა	2 წელის წინა საქმის წამოწყებიდან (ან წინა საქმიდან, ვალების გათავისუფლებიდან)

ცხრილი არეგულირებს გაკოტრებისადმი მიმართვიანობის სიხშირეს. მოვალემ წინასწარ იცის, რომ თუ ბოროტად გამოიყენებს კანონს და უსაფუძვლო გაკოტრებას წამოიწყებს, ასეთი პროცედურის ნამდვილი საჭიროების შემთხვევაში უკვე აღარ მიეცემა შანსი გარკვეული დროის განმავლობაში. შესაბამისად, მოვალე გაუფრთხილდება ამ შესაძლებლობას და უაზროდ არ გაფლანგავს.

ამ კუთხით ქართულ კანონში არ გვაქვს მსგავსი რეგულაცია. რეაბილიტაციის შემთხვევაში არც იურიდიული პირისთვის და არც ინდემწარმისთვის არ არის დადგენილი შეზღუდვები შემდგომ მიმართვიანობაზე. რადგან შეზღუდვა არ არსებობს, გამოდის, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება გაკეთდეს გადახდისუუნარობის ხელახალი მიმართვა. ერთადერთი ნორმა, რომელიც აწესრიგებს ვადების საკითხს, არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 33(4) – თუ მომრიგებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ იმავე სუბიექტის მიმართ იმავე საფუძვლით დაუშვებელია. ამით კანონში შეინიშნება პრინციპის მიგნება – მოვალეს არ უნდა ეძლეოდეს საშუალება წარმოების დასრულებას შემდეგ მალევე მიმართოს გადახდისუუნარობას. პრინციპი ემსახურება კრედიტორის ინტერესების დაცვას, რათა მოვალემ

ყოველი აღსრულების წარმოების დაწყებისას არ გამოიყენოს გადახდისუუნარობა აღსრულების შემაკავებლად და არ მოხდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გაწევა დროში. საჭიროა ამ პრინციპის ბოლომდე გააზრება ქართულ გადახდისუუნარობის სისტემაში და განვრცობა სხვადასხვა რეგულაციებით ყველანაირი შემთხვევისთვის.

4.2 წარსადგენი დოკუმენტაცია

BAPCPA-მ დააწესა მთელი რიგი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება ფიზიკური პირებისთვის, რომელიც უნდა დაურთონ გაკოტრების პროცესში შეთავაზებულ გადახდების ცხრილს:

– ადვოკატის მიერ გაცემული სერტიფიკატი ან ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ მოვალემ მიიღოს იურიდიული კონსულტაცია გაკოტრებასთან დაკავშირებით, კერძოდ მე-7, მე-11, მე-12 და მე-13 თავების მოკლე აღწერა, მათი ძირითადი მიზანი, სარგებელი, პროცედურებისთვის საჭირო ხარჯები. სერტიფიკატი ასევე უნდა ადასტურებდეს, რომ: ა) მოვალემ მიიღო ინფორმაცია ქონების მოტყუებით გადამალვის ან ცრუ ინფორმაციისთვის დადგენილი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და ბ) მოვალეს ეცნობა, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შემოწმებული იქნება გენერალური პროკურორის სამსახურის მიერ;⁴⁸

– გაკოტრების დაწყებამდე 60 დღის განმავლობაში მოვალის მიერ მიღებული ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტები დამსაქმებლისგან;⁴⁹

– ცნობა თვიური საშუალო შემოსავლის შესახებ;⁵⁰

– ცნობა გაკოტრების დაწყებამდე 12 თვის განმავლობაში გაზრდილი შემოსავლების ან ხარჯების შესახებ და დასაბუთება.⁵¹

⁴⁸ 11 U.S.C. § 542 (b) (1).

⁴⁹ 11 U.S.C. § 521(a)(1)(B).

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

გარდა ამისა, მოვალემ უნდა მიაწოდოს მეურვესა და კრედიტორებს დოკუმენტაცია ფედერალური საშემოსავლოს გადასახადის დაბრუნების შესახებ,⁵² ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სხვა ფედერალური გადასახადების დაბრუნების შესახებ.⁵³ ესეც დამატებითი ვალდებულებაა გაკოტრების წამოსაწყებად, რაც შემდგომში ასევე სასამართლოს მიერ იქნება გამოყენებული მოვალის მდგომარეობის შესაფასებლად.

დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა კიდევ ერთი ბარიერია არაკეთილსინდისიერი მოვალისთვის. გაკოტრების აპლიკაცია არ უნდა იყოს ისე იოლი, რომ მცირე დროის დანახარჯით მიიღწეოდეს.

ქართული გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით, მოვალის მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

– მოვალისთვის ცნობილი ქონების ნუსხას, აგრეთვე მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ოდენობას, ამ ანგარიშების რეკვიზიტებისა და ბანკების მისამართების მითითებით;

– უზრუნველყოფილ კრედიტორთა ნუსხას არსებული ვალდებულებების, უზრუნველყოფის საგნების, კრედიტორთა სახელებისა (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომრების) მითითებით;

– მოვალისთვის ცნობილი დანარჩენი კრედიტორების ნუსხას არსებული ვალდებულებებისა და კრედიტორთა სახელებისა (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომრების) მითითებით;⁵⁴

თავის მხრივ, მეურვეს ევალება მხოლოდ კრედიტორთა პირველ კრებამდე მოიძიოს მოვალის ქონება.⁵⁵ კანონში არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა ინფორმაციის

⁵² 11 U.S.C. § 521(e)(2)(A).

⁵³ 11 U.S.C. § 521(f)(1)-(2).

⁵⁴ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 16(1).

⁵⁵ იქვე, 26(2)(კ).

არასრულად წარდგენისთვის მოვალის ან მისი ადვოკატის მხრიდან, მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზეა საუბარი,⁵⁶ თუმცა ეს მკვდარი მუხლია და არ მოქმედებს პრაქტიკაში. კანონი არ ითვალისწინებს წინა პერიოდის საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენას პირის ფინანსური მდგომარეობისა და პასუხისმგებლობის შესასწავლად, რაც დაეხმარებოდა სასამართლოს მისი კეთილსინდისიერების დადგენაში რიგ საკითხებთან მიმართებით (მაგალითად, გაუმართლებელი რისკით აღებული სესხის დასადგენად). ასეთი დეტალური რეგულირება გაართულებს გადახდისუუნარობაში არაკეთილსინდისიერად შეღწევას.

4.3 სპეციალური კურსები

მოვალე ვალდებულია პროცედურების დაწყებიდან 180 დღის განმავლობაში გაიაროს ინდივიდუალური ან ჯგუფური ინსტრუქტაჟი ამერიკის შეერთებული შტატების მეურვის ან გაკოტრების ადმინისტრატორის მიერ დამტკიცებულ სესხების შესახებ სამრჩევლო სააგენტოში.⁵⁷ მოვალე ამის შემდეგ სასამართლოს წარუდგენს მოწმობას ინსტრუქტაჟის გავლის თაობაზე.⁵⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოვალის მოთხოვნას შესაბამისი თავის მიხედვით.

მოვალე, რომელმაც საქმე აღძრა გაკოტრების მე-7 ან მე-13 თავის მიხედვით, ვალდებულია ასევე გაიაროს კურსი პერსონალური ფინანსური მენეჯმენტის შესახებ.⁵⁹

4.4 პროცესის ხარჯები

მოვალისთვის გაიზარდა ადვოკატის ხარჯები. ადვოკატებს დაევალა ახალი სარეგისტრაციო მოთხოვნების შესრულება,

⁵⁶ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ. მუხლი, 24(3).

⁵⁷ 11 U.S.C. § 109 (h).

⁵⁸ 11 U.S.C. § 542 (b).

⁵⁹ 11 U.S.C. § 109 (h).

ადვოკატი პასუხისმგებელია მოვალის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე. ამ ცვლილებებმა გამოიწვია სწორედ ადვოკატის მომსახურების საფასურის გაზრდა.⁶⁰

ხარჯებთან არის დაკავშირებული ასევე მოვალის მიერ კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნის წესის გამკაცრება. ამით ხდება ასევე კრედიტორების ინტერესების დაცვა, „რათა უზრუნველყოფილ იყოს ყველა კრედიტორის ინფორმირებულობა და ჩართულობა პროცესში“.⁶¹

BAPCPA-ს მიერ დანერგილი ცვლილებების ანალიზით ცხადი ხდება, თუ რამდენად კომპლექსურად შეიძლება მიდგომა გადახდისუუნარობის წამოწყებასა თუ პროცესში, რათა სისტემა იყოს სამართლიანი კრედიტორისთვის, ხოლო მოვალეს არ წარმოეშვას მოტივაცია ბოროტად გამოიყენოს კანონი.

5. მოვალისთვის დადგენილი აკრძალვები

ზოგიერთი ქვეყნის გადახდისუუნარობის სისტემაში მიღებულია „შემარცხვენელი“ სასჯელების დაკისრება მოვალეზე.⁶² დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში ასეთი სასჯელები წარმოდგენილია ყველაზე უხვად.

დიდი ბრიტანეთის 1986 წლის გადახდისუუნარობის აქტის მიხედვით სასამართლოს შეუძლია დააკისროს მოვალეს გარკვეული შეზღუდვები გაკოტრების პროცესში ან მას შემდეგ. ბრძანების გამოცემის საფუძველი დაკავშირებულია გაკოტრების პროცესში მოვალის ქცევასთან. ამ მიზნით სასამართლო ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- მოვალის მიერ გადახდისუუნარობის დაწყებამდე ორი წლის პერიოდში ქონებრივი დანაკარგების შესახებ ჩანაწერების არასწორად წარმოებას;

⁶⁰ *White, Michelle J.*, Bankruptcy: Past Puzzles, Recent Reforms, and the Mortgage Crisis (NBER Working Paper №14549, Dec. 2008).

⁶¹ 11 U.S.C. § 342 (g)(1).

⁶² *White, Michelle J.*, Bankruptcy: Past Puzzles, Recent Reforms, and the Mortgage Crisis (NBER Working Paper №14549, Dec. 2008).

- მეურვისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას;
- გაუმართლებელი ვალდებულებების აღებას;
- კრედიტორებისთვის უპირატესობის მინიჭებას;
- გადამეტებულ საპენსიო გადახდებს;
- საქონლის მიუწოდებლობას მყიდველისთვის, რომელმაც ამ საქონლის ფასი გადაიხადა წინასწარ;
- საქმიანი ურთიერთობების წარმოებას გადახდისუუნარობის დაწყებამდე ან მას შემდეგ, როცა მოვალემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ვერ შეძლებდა აღებული ვალდებულებების შესრულებას;
- სამეურვეო ქონების გადამალვას ან შემცირებას;
- ნებისმიერი აზარტული, წინდაუხედავი ან რისკიანი საქმიანობის განხორციელებას ან არაგონივრულ მფლანგველობას, რამაც ხელი შეუწყო მის გადახდისუუნარობას;
- დაუდევრობას საქმიან ურთიერთობებში;
- თაღლითურ ქმედებას.⁶³

სასამართლომ ასევე შესაძლებელია გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მოვალე ბოლო ექვსი წლის პერიოდში იყო თუ არა გადახდისუუნარობის პროცესში ჩართული.⁶⁴

გარემოებების შესწავლის შემდეგ საფუძვლის არსებობისას სასამართლოს ბრძანებით მოვალეს ეკრძალება:

- კომპანიის დირექტორად დანიშვნა;
- პრაქტიკული პროფესიული საქმიანობის განხორციელება გადახდისუუნარობის პროცესში;
- გადახდისუუნარობის პროცესში ქონების მეურვედ დანიშვნა;
- 500 გირვანქა სტერლინგის ზემოთ სესხის აღება დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ერთად;

⁶³ Insolvency Act 1986, Schedule 4A (2)

⁶⁴ იქვე, 4A (3).

- საქმიან ურთიერთობებში თავისი გადახდისუნარობის არგამჟღავნება;
- თემთა პალატის წევრობა;
- ლორდთა პალატის წევრობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში თანამდებობაზე დანიშვნა;
- მერად ან საკრებულოს წევრად ყოფნა;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მუშაობა;
- ბავშვის აყვანის მხარდამჭერი მომსახურების ბიზნესის წარმოება;
- კომპანიის ადმინისტრირების მიზნით შექმნილი კრედიტორთა კომიტეტის წევრის წარმომადგენლობა;
- გაკოტრების პროცესში შექმნილი კრედიტორთა კომიტეტის წევრის წარმომადგენლობა;
- ბრიტანეთის სატრასპორტო პოლიციის თანამდებობის პირად დანიშვნა;⁶⁵

მოვალის შეზღუდვები შესაძლებელია გაგრძელდეს ორიდან თხუთმეტ წლამდე.⁶⁶

ასეთი შეზღუდვების არსებობა მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი მექანიზმი იქნება ფიზიკური პირების არაკეთილსინდისიერი ქცევისთვის. თუმცა, გასათვალისწინებელია ქართული რეალობა და სოციალური ურთიერთობები, რათა სწორი მიდგომა გამოიყენებოდეს კანონში და აკრძალვამ ეფექტიანად იმუშაოს.

6. არაფორმალური რესტრუქტურიზაცია

ვალების არაფორმალური რესტრუქტურიზაცია მოიცავს ფინანსური სირთულეების დროს მოვალის ქონების ან პასუხისმგებლობის ცვლილებას სასამართლოსადმი მიმართვის

⁶⁵ Effects of a Bankruptcy Restrictions Order, (“BRO”), schedulebankruptcyrestrictionsjuly2009, https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/340453/schedulebankruptcyrestrictionsjuly2009.pdf.

⁶⁶ იქვე, Schedule 4A (4)(2).

გარეშე და იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ეფექტიანობას და მოვალის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებულ ხარჯის შემცირებას. რესტრუქტურიზაცია შეიძლება ითვალისწინებდეს მოვალის ბიზნესის რესტრუქტურიზაციის მექანიზმებს (ფუნქციონალური რესტრუქტურიზაცია) და მოვალის ფინანსების რესტრუქტურიზაციის მექანიზმებს (ფინანსური რესტრუქტურიზაცია). ვალების არაფორმალური რესტრუქტურიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყველა გადახდისუნარობის სისტემაში. ფინანსური სიძნელეების არსებობისას ხშირად მოვალესა და კრედიტორებს უფრო ეფექტიანად შეუძლიათ ინტერესების დაცვა, თუ მიმართავენ არაფორმალურ გადაწყვეტილებებს.⁶⁷

არაფორმალური რესტრუქტურიზაცია არ არის დაკავშირებული სასამართლო ჩარევასთან. ამიტომ ძირითადი უპირატესობები ასოცირდება მოქნილობასა და სისწრაფესთან. ვალების არაფორმალური რესტრუქტურიზაციის ძირითადი დადებითი მხარეებია:

მოქნილობა და მოვალის ბიზნესის სპეციფიკურ საჭიროებებთან ადაპტაციის სიიოლე. არაფორმალური რესტრუქტურიზაცია საშუალებას აძლევს კრედიტორებსა და მოვალეს, მიაღწიონ სხვადასხვა შინაარსის შეთანხმებებს. მთელი რიგი გადახდისუნარობის სისტემები არის მკაცრი და კანონი შეიძლება ასევე აწესებდეს მოთხოვნათა მინიმუმ ზღვრებს, რაც უნდა დაკმაყოფილდეს ან გადახდების ვადების ლიმიტებს. გარდა ამისა, არაფორმალური შეთანხმებით შესაძლებელია მიღწეული იქნეს მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილება, მაშინ როცა შესაძლებელია გადახდისუნარობის ნორმები ამის მიღწევას ხელს უშლიდეს, რადგან ვალის პროცენტის დარიცხვა წყდება გადახდისუნარობის წამოწყებისას. არაფორმალური რესტრუქტურიზაციისას შესაძლებელია ერთი რიგის კრედიტორებისადმი სხვადასხვა მიდგომების შემუშავება და რიგში ქვემოთ მდგომი კრედიტორების სრული დაკმაყოფილება. ასევე

⁶⁷ *Garrido, Jose M.*, Out-of-court debt restructuring, World Bank Study, 2012, 1. <http://documents.worldbank.org/curated/en/2012/01/15615171/out-of-court-debt-restructuring> .

უფრო ადვილია ახალი უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება და მოვალის ახალი ფინანსებით მომარაგება. შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ბევრ საკანონმდებლო სისტემაში არსებული ვალდებულება მოთხოვნათა ადგილობრივ ვალუტაში გადაყვანაზე.

– მოლაპარაკებების სიოლე. არაფორმალური პროცედურა ნაკლებად კონფრონტაციულია, რაც კარგ გარემოს ქმნის მოლაპარაკებებისთვის როგორც მოვალესა და კრედიტორს, ასევე თავად კრედიტორებს შორის. პროცედურული წესები ძალზე მარტივია. ასე რომ, მხარეთა ჩართულობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით.

– დროის ფაქტორი. ფინანსური სიძნელებისას დრო არის ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესის ლიკვიდაციის ასაცილებლად. ვადების გაწელვამ შეიძლება გამოიწვიოს ღირებულების შემცირება. განსაკუთრებით ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები უნდა მოქმედებდნენ სწრაფად და აქტიურად ასეთ დროს. არაფორმალური რესტრუქტურიზაცია არის უფრო მოკლე, ვიდრე ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურები, სადაც სასამართლოს ჩარევა იწვევს მოლაპარაკებების მნიშვნელოვან გადავადებებს.

– კონფიდენციალობა. არაფორმალური რესტრუქტურიზაცია უფრო პირადული პროცესია და ნაკლებად იწვევს საზოგადოების არასასურველ ყურადღებას. მცირდება მოვალის რეპუტაციის შელახვის შანსი.

– ნაკლები სტიგმა, ვიდრე ფორმალური გადახდისუუნარობა – ასეთ დროს რეპუტაციას ნაკლები ზიანი ადგება. უმეტეს შემთხვევაში არ ხდება სტიგმის წარმოშობა და ამას ხელს უწყობს კონფიდენციალობა, რადგან მოვალეს შეუძლია განაცხადოს რესტრუქტურიზაციის შესახებ მას შემდეგ, რაც შეთანხმება კრედიტორებთან უკვე მიღწეულია და მოვალის ბიზნესის პერსპექტივა მნიშვნელოვნად გამყარებულია.

– მოვალის საქმიანობის უწყვეტობა. ამკარაა, რომ არაფორმალური რესტრუქტურიზაცია მოვალეს უფრო უადვილებს

საქმიანობის გაგრძელებას, ვიდრე გადახდისუუნარობის ფორმალური პროცედურები, რა დროსაც მოვალისაღმძიმე კეთილგანწყობა მნიშვნელოვნად მცირდება.

– ნაკლები ხარჯი. ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურები უფრო ძვირი ჯდება დროის, ფულისა და რეპუტაციის თვალსაზრისით. არაფორმალური რესტრუქტურიზაცია ნაკლებად ხარჯიანია, თუნდაც მასში ჩართული იყვნენ სხვადასხვა მრჩეველები და კრედიტორები კოორდინირებისთვის. დროისა და პროცედურის ხარჯი მნიშვნელოვნად დაბალია.⁶⁸

არასწორი იქნება ვარაუდი, რომ არაფორმალური რესტრუქტურიზაცია ყოველთვის სჯობს ფორმალურ გადახდისუუნარობას. არაფორმალური რესტრუქტურიზაციის უარყოფითი მხარეები ფორმალურ პროცედურებთან შედარებით დაკავშირებულია ამ პროცედურების შედეგებსა და დახასიათებასთან. თუ მოვალის კონკრეტული მდგომარეობა მოითხოვს აღსრულებისგან დაცვას ან შესასრულებელი ხელშეკრულების გასაჩივრებას, ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება იყოს უკეთესი გამოსავალი.⁶⁹

სწორედ არაფორმალური რესტრუქტურიზაციისა და ფორმალური გადახდისუუნარობის დადებითი მხარეების შერევით აიხსნება ზოგიერთ სამართლის სისტემაში გაძლიერებული ან ჰიბრიდული პროცედურების არსებობა.⁷⁰

გაძლიერებული პროცედურები აღჭურვილია ნორმატიული კომპონენტით. ასეთი პროცედურის მთავარი უპირატესობა არის კრედიტორთა შეთანხმება დაემორჩილოს შეთანხმებულ წესებს მოლაპარაკებებში და მიიღონ მონაწილეობა პროცესებში.⁷¹

რაც შეეხება ჰიბრიდულ რესტრუქტურიზაციას, ეს არის არსებითად კერძო ხასიათის რესტრუქტურიზაციაში მცირე ოდენობით სასამართლოსა და საჯარო ინტერვენცია და

⁶⁸ Garrido, Jose M., Out-of-court debt restructuring, World Bank Study, 2012, 1. <http://documents.worldbank.org/curated/en/2012/01/15615171/out-of-court-debt-restructuring>. 9.

⁶⁹ იქვე, 11.

⁷⁰ იქვე, 13.

⁷¹ იქვე.

ფორმალური გადახდისუუნარობის ელემენტების ჩართვა. ჰიბრიდული პროცედურა ინარჩუნებს არაფორმალური რესტრუქტურირების უმეტეს უპირატესობებს და შეიცავს ფორმალური გადახდისუუნარობის ზოგიერთ უპირატესობას. ჰიბრიდული პროცედურის რეგულაციის სხვადასხვა გზა არსებობს, სტრუქტურა დამოკიდებულია კონკრეტულ შედეგზე, რაც უნდა იქნეს მიღწეული.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიბრიდული პროცედურა არის „წინასწარ შემუშავებული რეაბილიტაციის გეგმა“. გეგმის შემუშავება ხდება არაფორმალური მოლაპარაკებების დროს, რის შემდეგაც მოვალე წარუდგენს გეგმას სასამართლოს დასამტკიცებლად. გეგმა ყველასთვის სავალდებულოა.⁷² ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია კრედიტორთა კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს შეთანხმებაზე. კომიტეტი მოვალისგან იღებს სამართლებრივ და ოპერატიულ კონტროლს.⁷³

ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში ჰიბრიდული პროცედურა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მედიატორის ან მსგავსი ფიგურის დანიშვნას მოლაპარაკებებში დახმარების გასაწევად. შესაძლებელია მოვალის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ დანიშნოს მის მიერ შეთავაზებული პირი ან სხვა დამოუკიდებელი ექსპერტი. ასევე თეორიულად შესაძლებელია, რომ სასამართლომ დანიშნოს ერთი ან რამდენიმე კრედიტორის მიერ შეთავაზებული მედიატორი.⁷⁴

ჰიბრიდული პროცედურები შეიძლება ითვალისწინებდეს აღსრულების შეჩერებას კრედიტორთა მხრიდან. მოვალეს ეძლევა გარკვეული დრო კრედიტორებთან მოლაპარაკებებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში მოვალე არ არის ვალდებული წამოიწყოს გადახდისუუნარობა, ხოლო კრედიტორებისთვის მოქმედებს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შეჩერების რეჟიმი.⁷⁵

⁷² Garrido, Jose M., Out-of-court debt restructuring, World Bank Study, 2012, 1. <http://documents.worldbank.org/curated/en/2012/01/15615171/out-of-court-debt-restructuring>.

⁷³ *Duberstein, Conrad B.*, Out-of-court Workouts, Am. Bankr. Inst. L. Rev. 347, 1993, 357.

⁷⁴ *Garrido, Jose M.*, Out-of-court debt restructuring, World Bank Study, 2012, 48.

⁷⁵ იქვე.

არაფორმალური გადახდისუუნარობა ნებაყოფლობითია, თუმცა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში შესაძლებელია მას სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს.⁷⁶ ეს შეიძლება ზუსტად მოერგოს ქართულ რეალობას და უპასუხოს დღევანდელ გამოწვევებს. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული რეგულაციების ერთმანეთთან მისადაგებით შესაძლებელია ეფექტიანი პროცედურის შემუშავება. საუბარია სავალდებულო არაფორმალურ გადახდისუუნარობაზე.

საქართველოს კანონმდებლობაში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის პროცედურების დანერგვისას სასურველია გათვალისწინებულ იქნეს არაფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურები, რომელიც უფრო ჰიბრიდული იქნება, ვიდრე მთლიანად არაფორმალური. ასეთი სისტემის არსებობა კორპორაციული გადახდისუუნარობისთვისაც იქნება სიკეთის მომტანი. მთავარი პრინციპი, რაც რეფორმისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, სწორედ არაფორმალური ჰიბრიდული პროცედურის სავალდებულო ხასიათია. ამ მოსაზრების არგუმენტაციას ორი ფაზა აქვს:

– პირველი ფაზა უკავშირდება მხარეთა ინტერესების უკეთ დაცვას – ეს კი ისეთ ხელშესახებ მაჩვენებლებში გამოიხატება, როგორცაა დრო, ხარჯი და ეფექტიანობა.

საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის დღესდღეობით დრო ყველაზე დიდი პრობლემაა. მაგალითად, კანონის მიხედვით, მოვალის ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოვალის გაკოტრებით სრულდება არაუგვიანეს 207 დღისა, ხოლო კრედიტორის (კრედიტორების) ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოვალის გაკოტრებით სრულდება არა უგვიანეს 225 დღისა.⁷⁷ თუმცა რეალურად ეს ბევრად მეტხანს გრძელდება. ერთ-ერთ საქმეში (შპს „დარიალი 2007“-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, გაკოტრების საქმე №2/7448-12) 2014 წლის 19 თებერვალს ჩატარდა საბოლოო კრედიტორთა კრება, სადაც

⁷⁶ *Bond, Terry, A Global Approach for Multi-creditor Out-of-court Restructurings – A New Initiative and the Wider Issues, Conn. J. Int'l L. 41, 2001-2002, 43.*

⁷⁷ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 5¹.

განხილულ იქნა გაკოტრების მმართველის ანგარიში და გაყიდული სამეურვეო ქონებიდან მიღებული თანხის განაწილება.⁷⁸ კანონის მიხედვით ამის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. თუმცა ჯერჯერობით ასეთი განჩინება არ არსებობს, სამეურვეო ქონებიდან ამოღებული თანხა ორ წელიწადზე მეტია განთავსებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. ამ პერიოდში ეროვნულმა ვალუტამ განიცადა მნიშვნელოვანი გაუფასურება და კრედიტორებმა ამით მიიღეს ზიანი.

დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია არა ცალკე აღებული, არამედ პროცესის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. გახანგრძლივებული პროცესების შედეგად შესაძლებელია გაუფასურდეს ქონება, გაუარესდეს კრედიტორთა მდგომარეობა, ან დაიკარგოს რეაბილიტაციის შესაძლებლობა. ეფექტიანობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს გადახდისუუნარობის პროცესში ქონების რეალიზაციის წესი. საქართველოს კანონმდებლობით ქონების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იძულებითი აუქციონის გზით,⁷⁹ მაშინ როცა არაფორმალური გადახდისუუნარობის პირობებში კრედიტორთა შეთანხმებით, პირდაპირი გაყიდვის ან ნებაყოფლობითი აუქციონის წესით მნიშვნელოვნად მეტი თანხების მოზიდვა იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება ხარჯს, საქართველოში გადახდისუუნარობის ფასი არის მაღალი. ფასში იგულისხმება ადმინისტრაციული ხარჯი. ხარჯის დიდი ნაწილი მოდის მეურვეზე, რომელიც სავალდებულო წესით ინიშნება სასამართლოს მიერ და მხოლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო შეიძლება იყოს მეურვე.⁸⁰ მეურვის მომსახურების საფასური გამოითვლება ზოგ შემთხვევაში სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებიდან (რომელსაც თავად მეურვე აფასებს), ხოლო ზოგ შემთხვევაში ქონების რეალიზაციის ფასიდან. მომსახურების ოდენობამ შესაძლებელია მიაღწიოს

⁷⁸ 2014 წლის 22 იანვრის განჩინება კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2218129> .

⁷⁹ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 38.

⁸⁰ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 26 (1).

ქონების ღირებულების 33%-საც. ასეთი დიდი ღირებულების ჩამოცილება გასანაწილებელი თანხიდან მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კრედიტორთა დაკმაყოფილების კოეფიციენტს. არაფორმალური გადახდისუუნარობის დროს მთლიანად აცილებული იქნება ასეთი ხარჯი.

– არგუმენტაციის მეორე ფაზა უკავშირდება უკვე გადახდისუუნარობის ბოროტად გამოყენების აღკვეთას – ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რამდენიმე კომპონენტი, რასაც უნდა ითვალისწინებდეს პროცედურა:

ა) მოვალის მხრიდან მოხდეს სრული ინფორმაციის გამჟღავნება კრედიტორებისთვის. ამავე პროცედურაში მოხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება სასამართლოს, კრედიტორების ან მეურვის მიერ. თუმცა უმჯობესი იქნება უფრო მეტი ტვირთი დაეკისროს მოვალეს. შესაძლებელია მოვალის დავალდებულება ფინანსური და სამართლებრივი დიუდილიჯენსის შესახებ, ვინაიდან პრაქტიკაში მოვალე მოუმზადებელი მიმართავს სასამართლოს და უამრავი დრო იხარჯება ინფორმაციის შესაგროვებლად. შედეგად უკეთ გამოჩნდება, რამდენად ეკუთვნის პირს გადახდისუუნარობაში გადასვლა;

ბ) გაიზარდოს მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორებისთვის პროცედურის დაწყების შეტყობინებასთან და მათ ჩართულობასთან დაკავშირებით. დღევანდელი რეგულაციებით შესაძლებელია კრედიტორმა გვიან გაიგოს მოვალის გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ, თუმცა ეს არ იცავს მას რიგში ქვემოთ ჩანაცვლებისგან, მიუხედავად დაგვიანების არაბრალეული ხასიათისა. არაფორმალურ გადახდიუსუუნარობაში კრედიტორებისთვის შეტყობინების უზრუნველყოფა გარანტირებულს გახდის მათ მონაწილეობას ფორმალურ პროცედურაში;

გ) პროცედურა აუცილებლად უნდა შეიზღუდოს დროში. 3-6 თვე საკმარისი უნდა იყოს შედეგების გამოსავლენად და გადაწყვეტილების მისაღებად – მოხდება შეთანხმება არაფორმალური პროცედურის ფარგლებში და საქმეს მიეცემა ფორმალური ხასიათი. დღევანდელი მოცემულობით მოვალე მიმართავს სასამართლოს, იწყება გადახდისუუნარობა და ეს შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდეს, რა დროსაც მოვალე დაცულია კრედიტორებისგან. არაფორმალური გადახდისუუნარობის კონკრეტული ვადა დადებითად იმოქმედებს

მოვალის გადაწყვეტილებაზე და არ მოისურვებს არაკეთილგონივრულად გამოიყენოს კანონი. მას ეცოდინება, რომ მოკლე ვადაში გამჟღავნდება სრული ინფორმაცია და ვერ შეძლებს არასწორად მოქმედებას;

დ) მოხდეს იძულებითი აღსრულების შეჩერება არაფორმალური პროცედურებისას. თუმცა თუ გამოვლინდება, რომ სავალდებულო არაფორმალური გადახდისუუნარობა წარმოადგენს ერთგვარ გამოსაცდელ ვადას როგორც მოვალისთვის, ისე კრედიტორებისთვის – ამ ვადაში კრედიტორები მიიღებენ საკმარის ინფორმაციას პოზიციების მოსამზადებლად საჭიროების შემთხვევაში ფორმალური პროცედურის დაწყებისთვის. თავის მხრივ, მოვალეს კრედიტორის კომპეტენტურობა და მომზადებულობა ნაკლებ შანსს დაუტოვებს, არაკეთისინდისიერად გამოიყენოს ფორმალური გადახდისუუნარობა.

პროცედურების წარმართვის მიზნებისთვის შესაძლებელია გამოიყენებულ იქნეს მედიატორთა ინსტიტუტი, არბიტრაჟი ან მეურვე.

7. დასკვნა

ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის არსებობა სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის. როგორც უნდა იყოს ამ პროცედურების დანერგვის უარყოფითი შედეგები, ეს პროცესი საბოლოოდ გარდაუვალია. წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი მექანიზმების ანალიზმა აჩვენა, რომ ყოველთვის შეიძლება გამოწვევას დაუპირისპირო შესაბამისი რეგულაცია. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება კი უფრო მეტად მოამზადებს ნიადაგს გადახდისუუნარობის სისტემაში ამ ახალი ეტაპისთვის.